განკარგულება:**g-87. 87241229**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №20

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) GmbH მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „ბახტრიონის ტყე-პარკში უფუნქციოდ არსებული სვეტების რენოვაცია და ახალი ფუნქციის მიცემა, გადმოსახედი და პარკის კეთილმოწყობა“ განსახორციელებლად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისგან (GIZ) GmbH გრანტის მისაღებად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) GmbH მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ბახტრიონის ტყე-პარკში უფუნქციოდ არსებული სვეტების რენოვაცია და ახალი ფუნქციის მიცემა, გადმოსახედი და პარკის კეთილმოწყობა“ განსახორციელებლად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისგან (GIZ) GmbH მიიღოს გრანტი არაუმეტეს 103 000 (ას სამი ათასი) ევროს ოდენობით;

ბ) ამ მიზნით შეასრულოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებები.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი